№ 19
შაბათი,
19 სექტემბერი
1909 წ.

მომავალი

№ 19
შაბათი,
19 სექტემბერი
1909 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს: როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. 1 **სექტემბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 3 მან. თფილისს გარეთ 3 მან. 20 კ. **თვიურათ:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც)

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ.; უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე.

რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

რედაქციის ადრესი:
რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.
ფულის გამოსაგზავნი ადრესი:
Тифлисъ, тип. „Сорапанъ“, Калистрату Конст. Цуладзе.

კვირას, 20 სექტემბერს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვის შემდეგ ორმოცი დღის პანაშვიდი მეორე სახელმწიფო დუმის წევრის

სევერიანე მოსეს ძე ჯუღელის

მოსაგონებლათ, რასაც აუწყებს ნაცნობ ნათესავთ და ამხანაგებს მეუღლე მისი ალექსანდრა შვილებითურთ

ნაფიცი ვექილი
სერგეი დ. ჯაფარიძე
ქუთაისიდან გადავიდა თფილისში
ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11.
(სასტუმრო „ლონდონის“ ახლოს)

კბილის ექიმი
ი. შ. ჭანტურია
იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.
კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. აგჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

კბილის ექიმი
ს. ვაშაყმაძე
აბასთუმანიდან დაბრუნდა. ავათმყოფებს ღებულობს **ახალ ბინაზე** დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, სახლი № 15.

გაიხსნა ახალი
თფილისის
კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ე. გ. ფიდლეროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. გ. ლამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

ექ. ზ. ა. პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ზ. მ. მაკაროვი: შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 გ.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომართელი: ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. გ. ს. მუსხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—$2^{1}/_{1}$ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური აგნყოფილება 30 საწოლით. 100—62

ოზურგეთში
გადავიდა
თ. კიკვაძე

ამზადებს ქალ-ვაჟთ **გიმნაზიებისა, რეალური, საკომერციო და მიწის მზომელთა** სასწავლებლებისათვის, **კადეტთა კორპუსისა, საბუღალტერო** კურსებისათვის, **სახალხო სკოლის მასწავლებლათ და აფთიაქის შეგირდათ და სახალხო სკოლის მასწავლებლად.**

ქირა თითო თვის **წინდაწინ.**

ადრესი: მღვდ. მელიტონ ქავჯარაძესთან.
(18—15)

თფილისი, 19 სექტემბერი.

ჩვენებურ ერთგვარ მიმართულების ჟურნალ-გაზეთებში ხშირათ შეხვდებით მუშათა კლასზე საყვედურს: განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს მან ყოველგვარი გონიერება დაივიწყა, წამოაყენა ყოვლათ შეუსრულებელი და წარმოების მომსპობი მოთხოვნილებები და შედეგათ ამას მოყვა ბევრი ქარხანა-ფაბრიკების დაკეტვა და მუშათა მასსის უმუშევრათ დარჩენაო. გონიერების და ზომიერების მქადაგებლებს ავიწყდებათ, თუ ივიწყებენ, იმ პირობებს, რომლებშიაც წინათ უხდებოდათ მუშებს მუშაობა. ამის გახსენება კი საჭიროა სწორეთ იმის ასახსნელათ, თუ რამ გამოიწვია „უკიდურესობა“, თუ მართლა იყო სადმე ამისთანა რამე. წარმოების რომელი დარგიც უნდა აგეღოთ, ყველგან ერთსა და იმავე სურათს დაინახავდით: დღე და ღამეში 16—17—18 საათი განუწყვეტლივ მუშაობა, მცირე ხელფასი, უბინობა, ნახევრათ მშივრათ დარჩენა, უექიმობა-უწამლობა, ავათმყოფობის დროს ისეც მცირედი ქირის მოსპობა, უბედურ შემთხვევებისაგან დაუზღვევლობა, ალისაგან ყოველ მუდამ ჟამს უდიერათ და არა-ადამიანურათ მოქცევა, პირველ სიტყვის შებრუნებისთანავე ადგილის დაკარგვა და სხ. ასეთი იყო მდგომარეობა ქარხანა-ფაბრიკების კედლებს შუა. მოქალაქეთ, როდესაც საზოგადოების სხვა ნაწილებს არავინ სცნობდა, მუშას, აბა, ვინ მოიხსენიებდა. მისთვის არ არსებობდა,—ჯერ ახლაც ხომ არ არის—არც გაფიცვის, არც კრების, არც კავშირების თავისუფლება. რეპრესიები ალისაგან, რეპრესიები მთავრობისგან, აი მისი ხვედრი და ჯილდო დილიდან საღამომდის და საღამოდან დილამდის თავ-აუღებელ და წელ-გაუმართავ მუშაობისთვის. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა რამდენიმე ათი წელიწადი; ამ ხნის განმავლობაში რამდენი მსხვერპლი შეიწირა კაპიტალმა და რეპრესიებმა, რამდენმა განუტევა სული აუტანელი შრომის გამო, რამდენი იმსხვერპლა ციხემ, ციმბირმა და კატორღამ, ვინც ხმა ამოიღო ამ ბოროტების წინააღმდეგ?!

ამდენი ხნის განმავლობაში დაგუბებულმა მუშის გულში ჩაფლულმა უკმაყოფილებამ იფეთქა განმათავისუფლებელი მოძრაობის წლებში. ჩვენთვის საკვირველი ის როდია, რომ მუშებმა მოთხოვნილებები წარუდგინეს, ხანდახან, თუ გნებავთ, წარმოებისათვის შეუფერებელი, არამედ ის, რომ გონიერებას არ გადაცდენ და შური არ იძიეს კაპიტალის წარმომადგენლების წინააღმდეგ მათი აღვირ-წახსნილ მოქმედების გამო. ამას არავინ არ იხსენიებს, მხოლოდ იხსენიებენ იმას, რომ ორ-სამ ქარხანას ზედმეტი მოთხოვნილებები წაუყენეს და წარმოება მუშებმა დაღუპესო. მერე სად იყვნენ გონიერების მქადაგებელნი მაშინ, როცა მუშას სისხლს სწოვდენ ამ სიტყვის პირდაპირი და არა გადამეტებული მნიშვნელობით, ან სად არიან ახლა, როცა ისევ ძველებური პარპაში და თვითნებობა ფეხს იდგამს? უკანასკნელი ორი-სამი წელიწადი კაპიტალისტების დღესასწაულათ უნდა ჩაითვალოს: ყველა გაუმჯობესებული პირობები უკანვე წაიღეს, ხელ-ფასი შეამცირეს, სამუშაო დღე გააგრძელეს, ორგანიზაციები და კავშირები კაპიტალისტების მეცადინობით მთავრობამ დახურა, ზოგან შეაჩერა, მუშათა მასსაში სრულ დემორალიზაციამ და დეზორგანიზაციამ ფეხი გაიდგა, ანარქისტულ ქადაგებას და მოქმედებას სარბიელი მიეცა და თანდათან ფეხს იკიდებს. მუშათა მოთმინებას ახალ ეგზამენს უშვრებიან, უნდათ გაფიცვაზე წააქეზონ და თუ სადმე ორიოდე შეგნებული მუშა დარჩენილა, ისინი თავიდან მოიცილონ, მათ ადგილზე მიიღონ მონურ მორჩილებაში აღზრდილნი და ამ რიგათ გაამეფონ სამარისებური სიჩუმე, მყუდროება და მორჩილება თავიანთ სამფლობელოში.

დღეს, ვისაც თვალი და ყური უჭრის, ყველა შეამჩნევს, რომ რუსეთში გამეფებულ რეაქციისაგან გათამამებული კაპიტალისტები სწორეთ უკიდურეს პროვოკაციას ეწევიან, უკიდურეს საშუალებას ხმარობენ, რომ მუშები მოთმინებიდან გამოიყვანონ და რაღაც ჩაადენინონ, რომელიც მერმე სრულ გაბატონებისკენ გზას გაუხსნის მათ. რატომ ამის შესახებ ყურს არავინ იბერტყავს, რატომ კაპიტალისტებს ზომიერებას და გონიერებას არავინ უქადაგებს? რატომ, მათი აზრით, მუშა უნდა იყოს ზომიერი და კაპიტალისტი გაუმაძღარი უსაზღვროთ? მაგრამ მაგარიც ის არის, რომ მუშები ამ „გონიერების“ აზრათ ერთ კანონს უნდა ემორჩილებოდენ, ხოლო კაპიტალისტები მეორეს; ამიტომაცაა, ალბათ, რომ მუშებს მოთხოვნილებების წამოყენება ეკრძალებათ, რადგანაც კაპიტალისტებს შემოსავალი დააკლდებათ და კაპიტალისტებისთვის კი გაუმჯობესებული პირობების უკან წაღება ნებადართულია, რადგანაც ამით მათი ჯიბე გასქელდება. საბედნიეროთ, ყოველივე ეს მუშებმა კარგათ შეიგნეს, კარგათ იცნობენ თავის მტერს და მოყვარეს.

საჭიროა მხოლოდ მუშები ფხიზლათ შეხვდენ მათ გარშემო გამეფებულ პირობებს, არ წამოეგონ პროვოკატორულ ანკესებზე, რომელიც გადასროლილია მათი ისტორიული მტრებისაგან და სასტიკათ მოერიდონ ყოველგვარ ანარქისტულ აქტებს, რომელიც სარგებლობას მოუტანს მხოლოდ მათ მტრებს და ვნებას მიაყენებს მუშათა საერთო საქმეს.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 სექტემბერი.

სპარსეთი.

თავრიზი. ურმიის გუბერნატორი მოხტესამუს-სალთანე დანიშნულ ადგილზე წავიდა. მას ხოიზე და სალმასზე უნდა გაევლო, მაგრამ ხოიში არ შეუშვეს ადგილობრივმა ფიდაებმა. ადერბეიჯანის გენერალ-გუბერნატორმა იარაღის ასაყრელათ გაგზავნა საიდუდ-მემალიკი, ურმიის ფიდაების ყოფილი წინამძღოლი.

თავრიზი. მეჯლისის დეპუტატათ აირჩიეს 15, მათ შორის მუსტაფარ-უდ-დოულე, აგიზადე, მირზა-ისმაილი, ნოუბერი და მირზა-რიზა, რომელიც გერმანიის საელჩოში მსახურებს.

ოსმალეთი

კონსტანტინოპოლი. ოსმალეთის საგანგებო საელჩომ ცნობა მიიღო როდის მიიღებს მას ლივადიაში ხელმწიფე იმპერატორი. ამიტომ საელჩო 22 სექტემბერს გაემგზავრება. წინა დღით ლივადიაში წავა რუსეთის ელჩი ჩარიკოვი.

საზღვარ-გარეთ

მადრიდი. გურუგუს წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო ქვეითა ჯარის 16 როტამ, სამმა ბატარეამ, 3 ესკადრონმა ცხენოსან ჯარისა და საპიორების რაზმმა. ახალი პოზიცია, სადაც 4 როტა დასტოვეს, ხელათ გაამაგრეს.

ლონდონი. ლორდთა პალატამ მიიღო ირლანდიის მიწების ბილლი, რომელიც დამატებაა გასულ წელს ბირილის მიერ შემოღებულ ზომების, ირლანდიაში მიწების ყიდვის სისტემის შესამსუბუქებლათ. განზრახულია ირლანდიის ზოგიერთ ადგილებში შემოიღონ მიწების ძალათ ჩამორთმევა. და თუმცა ლორდებმა მიიღეს კანონი, მაგრამ ამ მხრით მოსალოდნელია ცვლილებების შეტანა.

მადრიდი. აუარებელი ხალხი სადღესასწაულოთ გაჩირაღდნებულ ქუჩებზე გაემართა, მივიდა სასახლის წინ და მეფეს ოვაცია გაუმართა. მეფე აივანზე გამოვიდა

რუსეთი

პეტერბურგი. თავი მოიკლა სენატორ კოვალენსკიმ, კორნეტის და პაჟის მამამ, რომლებმაც ნადეჟდინის ქუჩაზე რამდენიმე კაცი დასჭრეს, რისთვისაც სისხლის სამართალში მისცეს.

ვარშავა. ვარშავის საქონლის სადგურზე სამმა უცნობმა იარაღი აყარა დარაჯს. მათ გამოუდგა ჟანდარმი და გოროდოვოები. თავდამსხმელნი სალოვის ქუჩაზე დაიმალენ ერთ სახლში და სროლა ასტეხეს. გამოიწვიეს ერთი როტა სალდათები. სალდათებმა თოფები დაუშინეს და სამივე მოკლეს.

ჩელიაბინსკი. გაიხსნა კაზაკთა სასოფლო-სამეურნეო სიეზდი.

ტაშკენტი. საყოველთაო სწავლის მოსაწყობათ ქალაქის გამგეობამ დაადგინა გადასდოს 110,000 მანეთი.

ხარბინი. შეკრებილი ცნობებიდან გამოირკვა, რომ ქარხანა „ხარბინი“-ს საჯაროთ ვაჭრობით გაყიდვის დროს შემდეგი ინციდენტი მოხდა: „13 სექტემბერს, დილის 11 საათზე ლუდის სახარშავ ქარხანა „ხარბინ“-ში მივიდა სასამართლოს ბოქაული სივკო, რომ საჯაროთ გაეყიდა ქარხნის შენობა, რომელიც სამ კაცს ეკუთვნოდა, მათ შორის ერთ რუსს. ბოქაულის მოთხოვნაზე გაეღოთ ალაყაფის კარები, უარი უთხრეს. ბოქაულმა უბრძანა პოლიციელებს—ბედნიაგინს და პოლტორაკს გადასულიყვნენ ღობეზე და გაეღოთ კარები, რაც შესრულებულ იქნა. ამ დროს ეზოში მყოფი პაიშჩიკები, გერმანიის ქვეშევრდომნი, რეგტერი და როზენვანგერი მივარდენ პოლიციელებს და მუშტები დაუშინეს. ალაყაფის კარები ძალათ გააღეს და ვაჭრობა მოხდა. კერძო ცნობებით პოლიციელებს ძაღლები მიუსიეს და წინააღმდეგობის გაწევას მხოლოდ მაშინ დაანებეს თავი, როცა პოლიციელებმა ხმლები იშიშვლეს.

პეტერბურგი. ოფიციალური. საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემდეგი ცნობა მიიღო ხარბინში მომხდარ ინციდენტის შესახებ. 12 სექტემბერს სხვა და სხვა პირებს სასამართლომ მიუსაჯა ლუდის მხარშავ ქარხანა „ხარბინიდან“ 3000 მანეთი, რის გამო სასამართლოს ბოქაული, აღმასრულებელი ფურცლის ძალით, შეუდგა ქარხნის საჯარო ვაჭრობით გაყიდვას. ამაზე გერმანიის ელჩმა პროტესტი განაცხადა, რადგან ქარხნის გაყიდვის უფლება რუსეთის სასამართლოს გადაწყვეტილებით უკანონოაო. ამაზე საოლქო სასამართლომ უპასუხა, რომ ქარხანა იურიდიული პირია, ექვემდებარება რუსეთის სასამართლოს, რადგან ამხანაგობის ხელ-შეკრულობა რუსეთის ნოტარიუსთან არის შემოწმებული და სხვ. და საჯარო ვაჭრობა უნდა მომხდესო. 13 სექტემბერს იქ მივიდა სასამართლოს ბოქაული. კარები დაკეტილი დახვდა და იძულებული შეიქნა ძალით გაეღო. ამ დროს იქ მყოფმა გერმანიის ორმა ქვეშევრდომმა პოლიციელებს სცემეს. პოლიციელებმა ხმლები იშიშვლეს და წესიერება აღადგინეს, რომლის დროსაც არავინ არ დაშავებულა. ამ დროს მოვიდა გერმანიის ელჩი და განაცხადა, რომ ინსტრუქცია მისცა წინააღმდეგობა არ გაეწიათ. რუსეთის მთავრობამ დამნაშავეებს ოქმი შეუყენა და პასუხის გებაში მისცა პოლიციელების შეურაცხყოფისათვის. გერმანიის ელჩმა თავის მხრით პროტესტი განაცხადა, რომ რუსეთის მთავრობამ დაარღვია გერმანიის ქვეშევრდომთა ექსტერიტორიალობა.

პეტერბურგი. თხოვნის თანახმად დათხოვნილ იქნა სამსახურიდან სახალხო განათლების სამინისტროს საბჭოს წევრი, პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწე ლატიშევი.

პეტერბურგი. სემიონოვის ქუჩაზე, სასტუმროში მოხდა ახალგაზრდა ქალიშვილის მკვლელობა „სადიზმი“-ს ნიადაგზე. მკვლელმა წინააღმდეგობა გაუწია სასტუმროს მოსამსახურეს და მოინდომა მისი მოკვლა, მაგრამ ვერ მოკლა და გაიქცა. ის დაიჭირეს. აღმოჩნდა, რომ ამ ნიადაგზე მას მოუკლავს 5 ქალიშვილი სასტუმრო „დუნაი“-შიც.

პეტერბურგი. უკანასკნელ ხანებში პეტერბურგის ბანკებში აღმოჩნდა ინგლისური ყალბი ფულები, ხუთი გირვანქა სტერლინგიანი.

სამოსამართლო პალატამ სამ გლეხს კრასნოე სელოში სალდათებში პროკლამაციების გავრცელებისთვის ერთს მიუსაჯა წლი ნახევრის და ორს—თითო წლის ციხე.

სენატმა უყურადღებოთ დატოვა ხუთი კაცის საკასაციო საჩივარი, რომლებსაც ს.-დემოკრატიული პარტიის წევრობისთვის ციხე ქონდათ გადაწყვეტილი.

სენატმა უყურადღებოთ დატოვა სილიაკოვის საკასაციო საჩივარი, გაზეთ „გოლოს“-ს რედაქტორის, რომელსაც ერთი წლის ციხე ქონდა მისჯილი.

სენატმა უყურადღებოთ დასტოვა მაძებარი პოლიციის აგენტის ბუევიჩის საჩივარი, რომელსაც ფულების გამოტყუებისთვის ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ქონდა გადაწყვეტილი.

ქერჩი. დიდი წვიმების გამო ქალაქში წყალი მოვარდა. ზოგიერთ ქუჩებში წყალი სდგას. დაზარალდა ღარიბი ხალხი.

ხოლერა.

პეტერბურგი. ხოლერით ავათ გახდა 31, მოკვდა 18, ავათ არის 354.

გროდნო. ხოლერით ავათ გახდა ორი, მოკვდა ორი.

უკანასკნელი ფოსტა

სპარსეთი.

გადასახადი მიწაზე. ამ დღეებში მთავრობამ გადასწყვიტა შეკრიბოს გადასახადი მიწაზე, რომელიც საბაჟოების შემოსავლის შემდეგ შემოსავლის ერთ უმთავრესს წყაროს შეადგენს. ამ გადასახადს იღებენ ჩვეულებრივ, შემოდგომაზე, ქირნახულის აღების შემდეგ. თუ წელს დაიჩქარეს—ეს იმიტომ, რომ მთავრობას ფული მეტად ესაჭიროება. მთავრობამ ყველა პროვინციებში აგენტები დაგზავნა, მაგრამ ყველა ხელცარიელი დაბრუნდა. აგენტებს ყოველგან ერთი და იგივე უპასუხეს: ახლა მეშრუტეა, (ე. ი. კონსტიტუცია) და მეშრუტის დროს კი გადასახადი აღარ უნდა იყოს, ამიტომ არც ჩვენ გადავიხდით, თორემ, ახლაც თუ გადასახადი ვიხადეთ, მაშინ, აბა, რაღა განსხვავებაა ძველსა და ახალ წესწყობილებებში. ამ გვარად, მთავრობას მხოლოდ საბაჟოს შემოსავალი რჩება, სხვა შემოსავალი აღარ რჩება.

გარეშე სესხი. მთავრობამ გადასწყვი-

ტა ახალი სესხის აღება. ამ ხელათ მიმართეს რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს, საიდანაც მიიღეს პასუხი, რომ რადგან სპარსეთის მთავრობა მტრულ განწყობილებას იჩენს რუსეთისადმი, რუსეთის მთავრობა ვერ ცნობს შესაძლებლათ მოლაპარაკება გამართოს სესხის შესახებ.

სად არის ექს-შახი? „ბაქოს“ ატყობინებენ: როსტოვის და პეტროვსკის სადგურის უფროსების დეპეშით შეკითხვაზე, თუ სად არის ყოფილი შახი, პასუხათ მიიღეს:—ყოფილი შახი სადღაც შეჩერდა და როდის წამოვა და სად არის ამ ჟამათ, არ ვიცით.

ოსმალეთის ჯარი. იმავე გაზეთს ატყობინებენ, რომ ოსმალეთის ჯარმა ხელ-ახლა გადმოიარა სპარსეთის საზღვრებზე და სპარსელებს გადასახადს ახდევინებსო. სტამბოლში მყოფმა სპარსეთის ელჩმა ჯარის ასეთი მოქმედება ოსმალეთის მთავრობას აცნობა.

რუსეთი.

დეპ. ჩხეიძე დუმის მუშაობის შესახებ. დეპუტატ ჩხეიძეს „ნოვი დენის“ თანამშრომლისათვის თავისი აზრი გაუზიარებია დუმის მომავალი მუშაობის შესახებ.

— დუმის მუშაობის პროგრამა, ა. ი. გუჩკოვისაგან შედგენილი,—უთქვამს დეპ. ჩხეიძეს,—პირველი შეხედვით სხვილი კითხვებისაგან შედგენილი გეგონებათ. ნამდვილათ კი, ყველა მწვავე, გადაუდებელი, საჭირ-ბოროტო კითხვები რუსეთის ცხოვრებისა პროგრამაში შეტანილი არ არის.

წარსული სესიის ბოლოში ოქტომბრისტები პოლიტიკური მდგომარეობით იძულებული გახდენ სიცოცხლის ნიშნები გამოეჩინათ. ისინი შეეცადენ ქვეყნისთვის დაემტკიცებიათ, რომ დუმას მათი ხელმძღვანელობით რამე დადებითის გაკეთება შეუძლია. შეუძლებელი იყო კანიკულებზე ისე წასვლა, რომ აქტივში მარტო წვრილი კანონ-პროექტებისაგან შეზავებული „ვერმიშელი“ ქონოდათ, რომლითაც ამრჩევლებს ვერ დააკმაყოფილებ..

მაშინ ოქტომბრისტებმა დაიწყეს კანონ-პროექტების ძებნა, რომელთა მიღებით შესაძლებელი გახდებოდა დუმის უსაქმობის გაბათილება. სხვათა შორის, ისინი მუშათა კანონ-პროექტებს ეცენ, მაგრამ მალე თავი გაანებეს და სარწმუნოებრივ საკითხებზე გადასვლა ამჯობინეს.

ა. ი. გუჩკოვის ახალ განცხადებებს თუ მხედველობაში მივიღებთ, ოქტომბრისტების „მუშათა მოყვარეობისაგან“ აღარაფერი არ დარჩა.

ს. დ. ფრაქციას, როგორც მუშათა კლასის წარმომადგენელს, არ შეუძლია საქმის ასეთ მდგომარეობას შეურიგდეს. ჩვენ საჭიროთ ვსთვლით დუმის მუშაობის სათავეში წამოვაყენოთ მუშათა კანონ-პროექტები, მათ რიცხვში ნოქართა და ხელოსანთა კანონ-პროექტებიც შევლენ. დუმის სესიის დაწყებისათანავე ჩვენ შევეცდებით შესაფერი განცხადება შევიტანოთ მუშათა კანონ-პროექტების სხვა კითხვების თავში დასაყენებლათ.

მუშათა კანონ-პროექტების შემდეგ მე დიდ მნიშვნელობას ვაძლევ მახლობელ კითხვათ დასმული იქნენ კანონ-პროექტები განსაკუთრებული წესების და პიროვნების ხელშეუხებლობის შესახებ. მთელ ქვეყანას განსაკუთრებულ წესების მუხრუჭში სული ეხუთება; დუმის კომისია ქვეყანას ახალ, უფრო მძიმე ბორკილებს უმზადებს. საჭიროა ვაიძულოთ დუმა, რომ ამ კითხვის შესახებ განსაზღვრული პოზიცია დაიჭიროს, დუმის მოქმედების ნამდვილი ხასიათი უნდა გამოვააშკარავოთ.

ჩემი შეხედულობით, ფრიად მნიშვნელოვანია აგრეთვე კითხვა ადგილობრივ თვითმართველობაზე და მასთან დაკავშირებული ნაციონალური საკითხი. გამარჯვებული რეაქცია ყველაზე მეტათ ნაციონალურ შევიწროებაში იჩენს სიმკაცრეს. საჭიროა ამ მწვავე კითხვაშიაც დუმის უმრავლესობას ნიღაბი ჩამოვხადოთ და მისი შოვინისტური სულისკვეთება ნათელ-ვყოთ.

სახალხო თავისუფლების პარტიაც კი, რომელსაც თავი ნაციონალურ თავისუფლების რეალურ დამცველათ მოაქვს, ნაციონალურ საკითხში ორჭოფობას იჩენს. საკმარისია გავიხსენოთ კადეტების მოქმედება პოლონელთა სასამართლოს საკითხში.

ს. დ. ფრაქცია აუცილებლათ აღძრავს აგრეთვე კითხვას შვარცის პოლიტიკის შესახებ, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის მსურველ ებრაელებს წინ ეღობება.

შეკითხვებში ჩვენ პირველ ალაგს მივსცემთ პროფესიონალური კავშირების შესახებ შეკითხვას. ამას მოყვება ციხეების შესახებ შეკითხვა.

თავის თავათ იგულისხმება, რომ ფრაქცია ყოველი შემთხვევით ისარგებლებს, რომ რუსეთის ცხოვრების საზიზღარი მოვლენა—სიკვდილით დასჯა დაგმოს.

პეტერბურგის მუშათა შორის. პეტერბურგის მუშათა შორის ამ უკანასკნელ ხანებში დიდი დაინტერესებაა კულტურული მუშაობისადმი. ამ მიზნით დაარსეს მრავალი საზოგადოებები, რომლების წევრთა რიცხვი თანდათან იზრდება. მიუხედავათ იმისა, რომ ამგვარ საზოგადოებებს მრავალი დაბრკოლებები ეღობება წინ, მაინც თვალსაჩინო ადგილს იჭერს და ასე თუ ისე აკმაყოფილებს გაღვიძებულ მოთხოვნილებას. ერთ განმ. საზოგ. უკანასკნელი ნახ. წლის შემოსავალ-გასავალი 950 მ. უდრის. ამ ხნის განმავლობაში 37 ლექცია იქნა წაკითხული. რომლებზედაც დაესწრო 5,271 მსმენელი, ამათგან 832 ქალი იყო. საზოგადოებასთან არსებობს ბიბლიოთეკა, რომელშიაც 1000 წიგნი არის, ბროშიურებს გარდა.

— მეორე განმანათლებელ საზოგადოებაში 1 ივლისამდე წევრები იყვნენ 371, მათგან 75 ქალი. საწევრო ფულს მუდმივ იხდიდა 118 კაცი. ნახევარი წლის განმავლობაში წაკითხულ იქნა 49 ლექცია. ლექციებს 2,392 კაცი დაესწრო. ლიტერატურულ ხასიათის ლექციას 1 ნახევარჯერ მეტი მსმენელები ესწრებოდა, ვიდრე სამეცნიერო ხასიათის ლექციებს. გამართა 11 სამუსიკო სადამო, 14 ექსკურსია 721 ექსკურსანტით. ნახევარი წლის შემოსავალი 1,180 მ. საზოგადოებას აქვს ბიბლიოთეკა 1,032 წიგნით. საშუალო რიცხვით, წიგნებით სარგებლობს თვეში 117 კაცი.

— ვასილიევის კუნძულის საზოგადოებაში 1 ივლისამდე 370 წევრი იყო, აქედან ქალები იყო 39. საზოგადოების შემოსავალი 761 მ. წაკითხულ იქნა 38 ლექცია, რომელზედაც 2,241 მსმენელი დაესწრო. საზოგადოებამ მოაწყო 4 ექსკურსია 224 ექსკურსანტით, 5 ლიტერატურულ მუსიკალური სადამო, რომელზედაც 1,000-მდე დამსწრე იყო.

— „სინათლის“ საზოგადოებას დიდიან დაარსებისა ბევრი დაბრკოლებანი გადაეღობა წინ. 33 ლექციის წასაკითხავი განცხადებიდან მთავრობამ 31-ზე ნება არ დართო.

— თავისუფალ-ეკონომიურ საზოგადოების მესამე განყოფილებას აზრათ აქვს შემოდგომაზე სხვადასხვა კითხვებზე მოხსენებები წააკითხოს ცნობილ ლექტორებს.

დეპუტატების მიწვევა. ადესის პროგრესიული ამრჩევლები დარწმუნებულნი არიან, რომ მომავალ დუმის წევრის არჩევნებზე ჭეშმარიტ რუსთა კავშირის წევრები ისეთ თავხედობას გამოიჩენენ, როგორც ქალაქის ხმოსნების არჩევნებზე. ამიტომ ამრჩეველთა ერთმა ჯგუფმა სახელმწიფო დუმის ზოგიერთ წევრებს მიმართა თხოვნით არჩევნებზე დაესწრონ. ამრჩევლებს იმედი აქვთ, თუ დეპუტატები არჩევნებს დაესწრნენ, ჭეშმ. რუს. კავ. წევრები თავდაჭერილათ იქნებიან და არჩევნები ნორმალურ პირობებში ჩაივლის. დეპუტატმა ნიკოლსკიმ უკვე განაცხადა თანხმობა არჩევნებზე დასწრებისა.

ბრიხნიჩევის გადასახლება. ცარიცინში მთავრობამ დახურა გაზეთი „ქალაქი და სოფელი“. გაზეთის ხუთი თანამშრომელი გადაასახლეს. გადასახლებულთა რიცხვში ცნობილი მღვდელი იონა ბრიხნიჩევიც არის.

პერუშკინი მოწმეთ. თფილისში კარგათ „ცნობილი“ პერუშკინი ჭეშმ. რუს. კავ. მხრით მოწმეთაა დანიშნული გერცენშტეინის საქმეში. სასამართლოში გამოირკვა, რომ პერუშკინი ამ ჟამათ „რუსკოე ზნამიას“ რედაქციაში მსახურებს და თვეში 15 მან. ღებულობს. გარდა ამისა მას სასარგებლოთ გაზეთის საშუალებით ფული იკრიბება. ორი წლის განმავლობაში მას მიუღია: ერთხელ 131 მ. 50 კ. და მეორეთ 60 მ.

პერუშკინმა სასამართლოში განაცხადა: ამ ფულს მე ჩემი ჭრილობებისთვის ვღებულობ. მე რევოლუციონერებისაგან 123 ტყვია და რამდენიმე ბომბა მაქვს ნასროლი.

საზღვარ-გარეთ.

ახალი ტიპის შკოლები. ჩინეთის მთავრობას გადაუწყვეტია ყოველ საგუბერნიო და სამაზრო ქალაქში დაარსოს ეგრეთ წოდებული პოლიტიკური მეცნიერების შკოლები. შკოლებში მოსწავლეებს გააცნობენ: საკონსტიტუციო დებულებებს, საარჩევნო სისტემებს, მთავრობის როლს სახელმწიფოში, სახალხო უფლებას და სხვ. ამ შკოლებს მიზნათ ექნებათ მომზადოს ხალხი ახალი პარლამენტის არჩევნებისათვის. ეს მომზადება რვა წლიწადს გაგრძელდება, ვინაიდან ჩინეთის მთავრობამ უკვე გადაწყვიტა, კონსტიტუციას 8 წლის შემდეგ შემოვიღებთ.

პოლიუსის აღმოჩენა და შლიაპები. ნიუ-იორკში „მოდისტკების“ მრავალ-რიცხოვანი წლიური კრება მოხდა ამ დღეებში. კრების მიზანი იყო მომავალი სეზონისათვის ქუდების მოდის შეცვლა. „მოდისტკებმა“ ახალი მოდის შლიაპას „კუკის“ შლიაპა დაარქვეს და დაადგინეს, ახალი შლიაპა თავისი მორთულობით ისეთი უნდა იყოს, რომ ჩრდილოეთის პოლიარულ ქვეყნებს მოგვაგონებდესო.

ახალი ამბავი

—

ნოვოროსიის „რესპუბლიკა“. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ეგრეთ წოდებული „ნოვოროსიის რესპუბლიკის“ საქმე უკვე გაარჩია სასამართლომ. ბრალდებულთ ზოგს გადასახლება მიუსაჯეს და ზოგს ციხე, ხოლო რამდენიმე მათგანი გაამართლეს. ბრალმდებელი არ დაკმაყოფილდა განაჩენით და მოინდომა საქმის განსაჩივრება, მარა დრო უკვე გავიდა და კანონის ძალით არ ქონდა უფლება საქმე განესაჩივრებიათ. ამიტომ, მათ შუამდგომლობა აღძრეს მთავრობის წინაშე, რომ მისცემოდათ საქმის განსაჩივრების უფლება. როგორც გაზეთები იუწყებიან, მთავრობას შეუწყნარებია მათი შუამდგომლობა. ამგვარათ, საქმე ხელმეორედ უნდა გაირჩეს. სახ. დუმის დეპუტატთა ერთ ჯგუფს განზრახვა აქვს ამის შესახებ შეკითხვა შეიტანოს სახელმწიფო დუმაში.

◆ **ა. ს. მატინოვის მოსვენება.** დღეს ბათუმში მოასვენებენ პარიზში გარდაცვლილ თფილისის ყოფილ ქალაქის თავის ა. ს. მატინოვის გვამს. აქ სომხური საზოგადოება გადაიხდის პანაშვიდს და შემდეგ მიცვალებულს სადამოს მატარებლით მოასვენებენ თფილისში.

◆ **სოფლების დასჯა.** კავკასიის უმაღლესი მთავრობის განკარგულებით ლენქორანის მაზ. სოფლის საზოგადოებებს, რომლებიც სპარსეთის საზღვრებთან მდებარეობს, რადგან იქ საქონლის ქურდობა ხშირ-ხშირათ ხდება, 6 თვით ჩამოერთვა უფლება მამასახლისის არჩევისა. ამ ადგილებში ინიშნება მთავრობის მამასახლისები სამ-სამი სტრაჟნიკით, რომელთა ყოველგვარი ხარჯები სოფლელებმა უნდა იკისრონ.

◆ **ვადამდე განთავისუფლება.** როგორც ვიცით, შარშან გამოიცა ახალი კანონი პატიმართა შესახებ, რომლითაც სასჯელისაგან განთავისუფლებულნი იქნებიან ის სისხლის სამართლით დასჯილი ტუსაღები, რომლებსაც უკვე გადაუხდიათ სასჯელის ერთი მესამედი და ციხეში ყოფნის დროს კარგი ყოფა-ქცევის იყვნენ. ამის შესახებ მოხსენებას აკეთებს ციხის უფროსი განსაკუთრებულ კომისიაში, რომელიც სპეციალურათ ამ საქმისთვის არის არჩეული. 17 სექტემბერს საგუბერნიო ციხის უფროსმა თფილისში არსებულ ვადამდე განთავისუფლების კომისიაში წარადგინა გასანთავისუფლებლათ 51 ტუსაღი. კომისიამ ამათში განთავისუფლა 43 ტუსაღი. განთავისუფლებულთა შორის არ არის არც ერთი პოლიტიკური ტუსაღი.

◆ **საფუთო გადასახადი.** ბათუმის ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობა, საფუთო გადასახადის დაარსების შესახებ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ არ შეიწყნარა.

◆ **რევიზია.** როსტოვიდან ადგილობრივ გაზეთებს ატყობინებენ, რომ ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრეს სამართველოდან ამ ცოტა ხანში ჩამოვლენ თფილისში სამმართველოს რამდენიმე მოხელე, რომლებიც რევიზიას მოახდენენ თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქში.

◆ **შუამდგომლობა.** ბათუმის ქალაქის თვითმმართველობამ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის უმაღლესი მთავრობის წინაშე, რომ ედროვოს ქალაქს 20 წელი ქალაქზე ქალაქს პოლიციისა, მთავრობის სკოლებისა და სხვ. დარჩენილი გადასახადი, რომელიც უდრის 245,000 მან.

◆ **ახალი რკინის გზა.** თერგის ოლქში განზრახვა აქვთ გაიყვანონ ახალი რკინის გზები. ამიტომ გროზნოში ამ დღეებში მოხდება საოლქო სიეზდი, რომელიც გამოარკვევს რკინის გზის გაყვანის საკითხს. სიეზდზე მიწვეული არიან გროზნოს, კიზლიარის და მოზდოკის ქალაქის და „სტანიცების“ წარმომადგენლები.

◆ **მკვლელობა.** 6 სექტემბერს ქუთაისის მაზრის სოფ. უზლოუბში საეკლესიო დღესასწაულის დროს, როგორც „ბატ. იზვესტია“ იუწყება, სტრაჟნიჩხაიძეს, რომელიც წესიერების დასაცველათ იყო გაგზავნილი, მოუკლას ადგილობრივი მცხოვრები იასონ ძიძიგური და დაუჭრია ახალგაზრდა ქალი ან. ფირცხალავა.

კანონ-პროექტები მუშათა შესახებ.

II

(დასასრული).

ავათმყოფობა გაცილებით უფრო ხშირი სტუმარია, ვინემ უბედური შემთხვევები. გერმანიაში მაგალითათ წლის განმავლობაში უბედურ შემთხვევათა რიცხვი 340,000 არ სცილდება, ავათმყოფები კი, რომელნიც საავათმყოფო კასიდან დახმარებას იღებენ—3 მილიონ ნახევარს უდრის, ე. ი. ავათმყოფობა 7-ჯერ მეტია უბედურ შემთხვევებზე. ამასთანავე, ავათმყოფობა ორთა შუა რიცხვით გრძელდება 1—2 კვირამდე. ამ დროს მუშას ეჭირვება სწრაფი დახმარება, დაუყოვნებლივ უფასო ექიმობის და თავის რჩენის საშუალების მიცემა. გერმანიაში ამ მიზნით კასები ყველაზე დემოკრატიულათ არის მოწყობილი. ისინი ახლოა მუშაზე, მათი წარმომადგენლებისაგან შესდგება და ამიტომ თვითეულ მუშას თამამათ შეუძლია მათ მიმართოს და იმედიც აქვს, რომ დახმარებას მიიღებს.

ყოველგვარი საქმის გაჭიანურება, კანცელიარშჩინა, მიწერ მოწერა და სხვა ასეთი დაუსრულებელი ფორმალისტობა ასეთ შემთხვევაში ეს ავათმყოფის უმწეოთ გაგდებას უდრის. სად შეუძლია მუშას რამდენიმე მანეთის ან ექიმის 2—3 ვიზიტის გულისთვის დაუსრულებლივ ირბინოს კასაში! ცხადია, აქ სწრაფი და დაუყოვნებლივი დახმარება პირველი საქმეა. კასა უნდა გახდეს თვით მუშების შინაურ დაწესებულებათ, მათ უნდა ის თავისათ მიიჩნიონ, მხოლოდ ასეთ პირობებში ისარგებლებენ მითი მილიონობით მუშები. გერმანიის კასები, დღემდე არსებულნი მაინც საკმაოთ კარგათ ასრულებდენ ამ მისსიას. მართალია, ახალი კანონპროექტით იქ კასას ბიუროკრატიზმი და ხაზეინის ძლიერი ბრჭყალები გაჰკრეს, მარა მკითხველი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ რუსეთის ბიუროკრატიას ამ მხრით გერმანელი გამგეები ვერ შეედრებიან.

განვიხილოთ რუსეთის პროექტის დიადი ღირსებები.

აქამდე, როგორც ვიცით, საავათმყოფო კასები არ არსებობდენ და ხაზეინები კანონით ვალდებული იყვენ მუშებისთვის ყოველ ავათმყოფობის დროს უფასო ექიმობა მიეწოდებიათ. ეს პრაქტიკა უკანასკნელ წლებში მაინც საკმაოთ განმტკიცდა, მარა არსდება საავათმყოფო კასები და ამ წესს ერთიანათ ცვლის, რა თქმა უნდა, არა საყვარელ ხაზეინების საზარალოთ.

რომელი თანხიდან შედგება საავათმყოფო კასები? თვითეულ კასაში მუშები ვალდებული არიან ჩაეწერონ და განსაზღვრული პროცენტი იხადონ თავის ჯამაგირიდან. ხაზეინები თავის მხრივ ვალდებული არიან გადაიხადონ საერთო თანხის 2 მეხუთედი; ასე რომ, მუშები იძლევიან კასაში 3 მეხუთედს და ხაზეინები 2 მეხუთედს. ეს ნორმა, როგორც ვხედავთ, გერმანიის არსებული კანონიდანაა გადმოტანილი. იგი, ერთი რომ ეწინაამდეგება რუსეთის აწინდელ პრაქტიკას და მუშების მიერ მოპოვებულ უფლებების ურცხვათ ფეხქვეშ გათელვაა. მეორე, გერმანიაში ამ გადასახადის თანახმათ არის განაწილებული ხაზეინების და მუშების ხმა კასის გამგეობაში. და როცა გერმანიის მთავრობამ მოინდომა მათი ხმების გათანასწორება, გადასახადი წილითაც გაათანასწორა, ნახევარ-ნახევარი გახადა. რუსეთი კი უფრო გონიერათაც იქცევა. ხაზეინის ჯიბესაც იფარავს და უფლებებითაც აჯილდოვებს. ეს უფრო მარტივია და უბრალო. ხაზეინი ნიშნავს კასის საზოგადო კრებების თავმჯდომარეს, თვითონაა კასის გამგეობის თავმჯდომარე, **აუცილებლათ** მას აბარია კასის ფული და ფასიანი ქაღალდები, მას აქვს უფლება ვეტო დაადვას, ე. ი. შეაჩეროს საზოგადო კრების და გამგეობის დადგენილებები და კითხვა დამხლვევ საკრებულოს გადასცეს.

თვით გამგეობაში მუშა-წევრების რიცხვი მხოლოდ ერთით მეტი უნდა იყვეს ხაზეინების რიცხვზე. ამიტომ საკმარისია ერთი მუშა მიიმხროს ხაზეინმა და მით თავის ნებაზე აწარმოვოს საქმეები. ამნაირათ, აქ მზადდება ნიადაგი კონფლიქტების, არევ-დარევის და მუშების გულის აცრუების ასეთ კასებზე.

ამგვარათ, ფული მუშებს ხდევა, გამგებლობა კი ეძლევა ხაზეინებს. ასე ისარგებლა რუსეთის ბიუროკრატიამ გერმანიიდან. მან ძველი და ახალი პროექტიდან ამოიღო ის ნაწილები, რომელნიც მუშებისთვის უფრო საზარალო იყო, ისინი შეაზავა და გერმანიის ავტორიტეტით ულტრა რეაქციონური კანონ-პროექტი გამოაცხო. ასეთია რუსეთის ბიუროკრატიის შემოქმედებითი ნიჭი.

არც სხვა მხრივ ჩამორჩება ჩვენი კანონ-პროექტი გერმანიისას. იქ მაგალითათ დროებითი მუშებიც კასის წევრათ უნდა გახდენ თუ ერთი კვირა მაინც იმუშავეს ქარხანაში. ჩვენში ეს ვადა გაორკეცებულია, ორ კვირაზეა აყვანილი. იქ ყოველი ქარხანა ვალდებულია თავის კასა დააარსოს, თუ 50 მუშაზე მეტს ამუშავებს. ჩვენში კი ასეთი ვალდებულება მხოლოდ 400 მუშიან ქარხანას ეძლევა. გერმანიაში კასების ტიპები მრავალგვარია, ადგილობრივი, საქარხნო და სხვ. ამათში ყველაზე მეტი ნაკლულევანება აქვს საქარხნოს, ის მიმჯაჭველია მუშის ქარხანაზე და ხაზეინის მასზე ბატონებას უწყობს ხელს. ამიტომ იქ ხშირათ მუშები თავისუფალ კასებს აარსებენ, ე. ი. ხაზეინის ჩაურევლათ; ანდა სხვა ტიპის კასაში ეწერებიან, ეს კი მათი ნებაა. ჩვენში მხოლოდ ერთი ტიპია შემოღებული, მარა ეს ერთიანობა მის გაუარესებას იწვევს. არჩეულია არა საუკეთესო, არამედ უარესი ტიპი. სხვაგვარი ტიპი ჩვენმა პროექტმა არ იცის. ყველა ჩვეულებრივ დაბრკოლებებს—ხაზეინის პირდაპირ ბატონობას, მუშის ქარხანაზე მიჯაჭვას, მის თავისუფლების შეზღუდვას და სხვ. ზედ ერთვის კიდევ ერთი დიდი ნაკლი. ესაა 400 მუშიანზე უფრო წვრილი ქარხნის მუშების მდგომარეობა. აქ ხაზეინები პროექტთან უნდა შეთანხმდენ და საერთო კასა დააარსონ. თუ ვერ შეთანხმდენ, ან ახლოს არ არიან ერთმანეთზე—ეს კითხვა პროექტის ავტორს თავში არ მოსვლია და ღიათაა დატოვებული. ცხადია, მაშინ მუშებმა უნდა ზეცას შეჰყურონ და ვარსკვლავები ითვალონ, თუ, რასაკვირველია, ქვეყნათ საკუთარი გზის გაკვლევა ვერ მოახერხეს.

კასების მთავარი მოვალეობაა: 1) ავათმყოფობის დროს მუშისთვის უფასო ექიმობის მიწოდება ან საექიმო ხარჯების ანაზღაურება და 2) ფულით დახმარების აღმოჩენა. პროექტით საავათმყოფო კასებმა ეს მოვალეობა უნდა შეასრულონ როგორც ჩვეულებრივ ავათმყოფობის, ისე დაშავებულების შესახებ; ცხადია, ეს მეტის მეტი უკანონობაა. აქამდე ყველა ავათმყოფობის დროს ხაზეინს აწვა ხარჯები და ეს სამართლიანიცაა. ახლა ის თვით მუშებს გადაადვეს კისერზე და ზედ დაშავებულთა დახმარებაც წაუმატეს, სულ ავათმყოფებს კასებმა უნდა აძლიონ შემწეობა ზოგს 13, ზოგს 26 კვირამდე, ზოგს მთელი წლობით. როგორც ვხედავთ, ესაა არა მუშების დაზღვევა, არამედ ხაზეინების განთავისუფლება მუშების დაზღვევისაგან. გერმანიაში ასეაო, გვეუბნებიან ავტორები. გერმანიაში მართლა ასეა, მარა რა საჭიროა „ნაციონალურ სულისთვის“ ღალატი და უცხოელების მაგალითის მიბაძვა სწორეთ იმაში, რაც მუშებს მოუტანს ვნებას? მარა ვინ არ იცის, რომ მიბაძვა თუ არ მიბაძვა ორივე ერთი მოტივიდან გამომდინარეობს: მუშების შევიწროვებისა და ხაზეინების უფლებების დაცვის სურვილისაგან.

კასები წესდებით საზღვრავენ თუ რამდენი დახმარება უნდა მიეცეს მუშას ავათმყოფობის დროს, მარა ამ პენსიის სიდიდე არ უნდა იყოს მარტოხელა მუშისთვის ჯამაგირის მეოთხედზე ნაკლები და ნახევარზე მეტი, ხოლო ცოლშვი-

◆ წყალდიდობა. როგორც „კავკაზს“ დეპეშით ატყობინებენ, 17 სექტემბერს ბაქოში და მის მახლობლათ დიდი წვიმა მოსულა. წყლები ისე გადიდებულა, რომ რამდენიმე საქონლის ვაგონი ლიანდაგიდან გადავარდნილა და მრავალი სანოვაგე გაუფუჭებია. ზარალი ჯერჯერობით გამოურკვეველია.

◆ სასჯელისაგან განთავისუფლება. კავკასიის ნამესტნიკის მოადგილის განკარგულებით სამშობლოში დაბრუნების უფლება მიეცათ შემდეგ ადმინისტრატიული წესით გადასახლებულ პირთ: რაჭის მაზ. მცხოვრებს კონ. დვალს, ქ. ქუთაისის—დოქტორ ჰუმბურიძეს, შორაპნის მაზ.—ვიქტორ ქავთარაძეს და ილიკო წერეთელს და ოზურგეთის მაზ.—იესე ბოლქვაძეს.

◆ გაზეთის დახურვა. გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი“, რომელიც ფოთში გამოდიოდა, უსახსრობის გამო შესწყვიტა თავისი არსებობა.

◆ ახალი განკარგულება, გამოიცა ახალი განკარგულება, რომლითაც ამიერიდან სამხედრო უწყების უფროსებს უფლება არ აქვთ ადმინისტრატიულ თანამდებობაზე იმსახურონ. („ზ.“)

◆ დაჭრა. როგორც გაზ. „ბატუმსკ. იზვესტ.“ ატყობინებენ ხოფ. კუხიდან (ქუთაისის მაზ.), ადგილობრივ მცხოვრებს ვიქტორ ბალანჩივაძეს ჩხუბი მოსვლია სპირიდონ ბალანჩივაძესთან და დაუჭრია დანით თავში.

◆ წარმოდგენის გადადება. 18 ოქტომბერს სახალხო სახლში დანიშნული ქართული წარმოდგენა „პატარა კახი“ გადაიდო 23 სექტემბრისათვის.

◆ შეპყრობა. 17 სექტ. მე 4 საპ. ნაწილში პოლიციამ დაპატიმრა ადმინისტრატიული წესით თფ. საგუბ.-გუბერნატ. გაგზავნილი გურგენ დევგანიძე.

◆ ახალი წიგნი. რედაქციამ მიიღო ალექსანდროპოლში ამხ. „შირაკის“ მიერ რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი: „იმამიტი“ (იმამის თაყვანისმცემელთა ქვეყანა). წიგნი სუფთათაა დაბეჭდილი და ღირს 1 მ.

◆ თფილისის რკინის გზის სადგურში თითქმის ყოველ დღე აყარებული ხალხი რჩება სამგზავროთ გამზადებული. ბევრი ლოდინის შემდეგ მოულოდნელათ გამოუცხადებენ: „ბილეთები აღარ არისო“ და კასის კარს ხურავენ. ასეთი წესი (უფრო უწესრიგობა) ძლიერ ცუდ მდგომარეობაში აყენებს მგზავრებს, რადგან წასვლა-წამოსვლა აუცილებელი და საჭირო საქმეებით არის გამოწვეული. ამ დიდ ნაკლს საჭიროა ყურადღება მიაქციოს რკინის გზის მართველობამ და მგზავრები იხსნას ასეთი დაუმსახურებელი ტანჯვისაგან. საჭიროა ასეთ შემთხვევაში რამდენიმე ვაგონის მომატება.

◆ უპასპორტოები. 17 სექტ. ჩხრეკის დროს ერევნის მოედანზე დაპატიმრეს 4 უპასპორტო.

◆ სხვა და სხვა ამბები, 16 სექტ. სპარსეთის ქვეშევრდომმა მირზა-ალი-გულ მამედ-ოღლიმ ჩხუბის დროს დანით დაჭრა თავისი ორი ამხანაგი. მან მოინდომა გაქცევა, მარა პოლიციამ დაპატიმრა. დაჭრილები გაგზავნეს მიხეილის საავადმყოფოში.

◆ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: „1907 წ. სოხუმის ციხეში დაპატიმრებული იყო ახალსენაკის მაზრის სოფ. საქდიოს მცხოვრები დავით სტეფანესძე ხვადაგია. ამა წლის აგვისტოში ხმა გავრცელდა, ვითომ ის მომკვდარიყოს. შევეკითხეთ ციხეში და გვიპასუხეს, რომ „ჩვენ არა ვიცით რაო“, ამიტომ მშობლები სთხოვენ ყველას, ვინც კი რამე იცის ამის შესახებ, აცნობონ რკინის გზის დეპოს ვაგონის ბ.რგში ისაკ ხვადაგიას“.

მსახიობი.

—

თუ მისი ხმა გრძნობა-ჭარბი,
მძლეთა მძლევი განხდეს არეს—
აკანკალდენ ვარსკვლავები,
ფერი ეკრთოს ამაყ მთვარეს.
მან დაჰკვნესოს მწუხარებით
და სამყაროც შთანთქას დარდმა;
იით ცვარი გადმოგორდეს,
გადაუხსნას გული ვარდმა.
თუ შეახოს ჰაერს ხმები,
აამღეროს სიხარული;
მზის სხივებზე დაგვიხატოს
წმინდა გრძნობა-სიყვარული.—
მკვდრეთით აღდგეს კიდით-კიდე
სიცოცხლით სძგერს სადაც გული
მუნ მიყუჩდეს ყოველივე,
მას უმღერდეს განაბული...

ბაბილინა.

ორიოდე სიტყვა კრიზისზე.

(ისტორიული შენიშვნა)

კითხვა, რომელსაც ჩვენ ვეხებით ამ მოკლე წერილში საინტერესოა არა მარტო თავისი თეორეტიული, ან ვულგარულათ რომ ვსთქვათ, „კაბინეტური“ აზრით, არამედ, ეს კითხვა საჭირ-ბოროტოთ გამხდარია მათთვის, ვისაც აინტერესებს საზოგადოებრივი წარმოება. ვიტყვით კიდევ მეტს: ამ კითხვას ყველა საზოგადოების წევრი იძულებულია მიაქციოს განსაკუთრებითი ყურადღება. მასთან, აქედანვე შევნიშნავთ, რომ კითხვას ჩვენ ვეხებით ისტორიული მხრით, ისიც მოკლეთ, რომ დავინახოთ, თუ როგორ პასუხს იძლეოდენ ამ კითხვაზე სხვადასხვა მეცნიერები. აქედან ჩვენ დავინახავთ, რომ ესა თუ ის ჭეშმარიტება ზეციდან მზათ როდი ვარდება, არამედ თანდათან ნელი ნაბიჯით ვითარდება და ხდება კაცობრიობის გონების საკუთრებათ. რაში მდგომარეობს ეს კითხვა, რა სახელს ეძახის მას მეცნიერება? ეს არის ის კრიზისი, რომელსაც პერიოდულათ (ყოველ განსაზღვრულ დროში) განიცდის საზოგადო წარმოება და რომლის შედეგს ყოველივე წევრი საზოგადოების გრძნობს, განურჩევლათ მდგომარეობისა—ზოგი უფრო მძიმეთ, ზოგიც სუსტათ. თუ სიტყვა კრიზისის მნიშვნელობა ავიღეთ ფართოდ, მაშინ ჩვენი მოვალეობა, კითხვის ისტორიულათ გამორკვევა, მეტათ გართულდება, რადგანაც კრიზისი თან სდევს ცხოვრების სხვადასხვა მოვლენებს. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: ვინც თვალ-ყურს ადევნებდა ოსმალეთის რევოლიუციის მსვლელობას, ის შეამჩნევდა ერთ მეტათ საინტერესო მოვლენას. როდესაც იქ ახალგაზდა ოსმალებმა გაიმარჯვეს, მაშინვე ბოლო მოუღეს ხონთქარის ერთ საინტერესო დაწესებულებას,—ჯაშუშების გვარდიას. ამ დროს ერთ ფრანგულ გაზეთში საინტერესო წერილი დაიბეჭდა შემდეგი სათაურით: „კრიზისი ჯაშუშთა სამეფოში“. და მართლაც, ეს კრიზისი იყო ოსმალეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რადგანაც რამდენიმე ათასი კაცი ცხოვრებიდან გარიყული, ქუჩაზე გამოსროლილი დარჩა. ჩვენ, რასაკვირველია, არ გვაქვს სახეში გავარჩიოთ ამგვარი კრიზისები, მაგრამ, აი, ჩვენ ვხედავთ უფრო საინტერესო მოვლენას. რუსეთის ცნობილ მხატვარს, უსპენსკის ზოგიერთ მის ნაწარმოებში მეტის მეტათ წარმტაცი ხელოვნებით აქვს დასურათებული ერთგვარი კრიზისი. როგორც ვიცით, რუსეთში მესამოცე წლების რეფორმებმა მეტათ გამოსცვალა საზოგადოებრივი ცხოვრება. შემოიღეს ერობა, გაჩნდა ახალი სამსაჯულო, ბანკები, რკინის გზები და სხვადასხვა. პისემსკის დახატული აქვს, თუ როგორი გავლენა იქონია ამ რეფორმებმა მაშინდელ პროვინციალურ საზოგადოებაზე. ჩვენ თვალ-წინ დგას წვრილი ჩინოვნიკები, ვაჭრები, გლეხები, გაფხეკილი აზნაურები და სხვები. მათი ფსიხოლოგია (სულიერი განწყობილება) ვერ ურიგდება ახალ წესებს და ყველა მათგანი ჩივის, რომ ცხოვრება შეუძლებელი გახდა ამ ახალ პირობებში. აქ ჩვენ ვხედავთ კრიზისს, რომელიც შედეგია საზოგადოების განვითარების, და რომელსაც ჩვენ შეგვიძლია დავუძახოთ საზოგადოებრივ-ფსიხოლოგიური კრიზისი. არც ამგვარი კრიზისის, თავის თავად მეტათ საინტერესოს, გარჩევა შეადგენს ჩვენს მიზანს. მაგრამ აი, მესამე რიგი კრიზისების. ავიღოთ მაგალითად ჭიათურა. შავი ქვის წარმოება აქ უკიდურეს კრიზისს განიცდის. რას ნიშნავს ეს? მოკლეთ და უბრალოთ რომ ვსთქვათ, ეს ნიშნავს იმას, რომ თუმცა ჭიათურაში მუშებიც ბლომათ მოიპოვება, რომელთაც სწყურიათ მუშაობა, როგორც მშიერს პური, შავი ქვაც ბევრია, რომ დაამუშაონ. შავი ქვის პატრონებიც მზათ არიან მუშაობა გააჩაღონ, მაგრამ მუშაობა მაინც არ ჩაღდება. გამოდის რაღაც უცნაური მოვლენა. ყველას უნდა მუშაობა, მაგრამ მუშაობა შეუძლებელია. ჩვენ სახეში გვაქვს ისტორიულათ განვიხილოთ სწორეთ ამგვარი კრიზისი, რომელსაც მეცნიერება ეკონომიურ კრიზისს ეძახის. და ეს კითხვა მით უფრო საინტერესო უნდა იყოს ჩვენი მკითხველისთვის, რომ დღეს მთელი კაპიტალისტური წარმოება განიცდის ამგვარ კრიზისს და ჭიათურა თავისი შავი ქვით ბანს აძლევს ამ მსოფლიო მოვლენას.

ნამდვილ შემქნელათ პოლიტიკური ეკონომიისას, როგორც განსაზღვრული დარგის მეცნიერებისას მისი ფართო მნიშვნელობით, უფრო ავტორიტეტული ისტორიკოსები სთვლიან მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთის ეკონომისტებს, რომელნიც ცნობილნი არიან მეცნიერებაში საერთო სახელით: ფიზიოკრატები. ჩვენ აქ არ გავარჩევთ მათ მოძღვრებას, არ მოვნახავთ ამ მოძღვრების შემქნელ სოციალურ-ეკონომიურ პირობებს, რომელიც ძლიერ შორს წაგვიყვანდა, მაგრამ არც ის შეგვიძლია, რომ მხოლოდ უყურადღებოთ დავსტოვოთ ეს მხარე, რომ კარგად გავიგოთ მათი საერთო აზრი კრიზისზე.

საფრანგეთში მთელ მეთვრამეტე საუკუნეში სახალხო წარმოება განიცდიდა უკიდურეს კრიზისს, მაგრამ ეს კრიზისი არ იყო ეკონომიური, სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, არამედ სოციალურ-პოლიტიკური. რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ამ კრიზისის შინაგანი მხარე, მოვიყვანოთ ორ მაგალითს: მთელი საფრანგეთი დაყოფილი იყო აუარებელ ნაწილებათ და ერთი ნაწილში დამზადებულ საქონელს არ ქონდა თავისუფალი გზა მეორე ნაწილში ბაჟის გადაუხდელათ, თითქმის ისე, როგორც ეს დღეს სპარსეთშია. ამ მხრივ წარმოების წინსვლა შებოჭვილი იყო. რათ გინდოდა ბევრი საქონლის დამზადება, თუ იმას ვერ გაყიდდი. მწარმოებელი იძულებული იყო უნებლიეთ ეზარმაცა და ზოგიერთს კიდევ სულ არაფერი ეკეთებია. უმთავრესი მიზეზი მისი უსაქმობის იყო ფეოდალური იურიდიული დამოკიდებულება. აი მეორე მაგალითიც: რომელიმე ხელოსანს, ვსთქვათ დურგალს, არ შეეძლო ყოლოდა განსაზღვრულ რიცხვის ზედ-მეტი მუშა ხელი და თუნდაც მას მყიდველებიც ყოლოდა, ფულიც ქონოდა, რომ წარმოება გაედიდებია, ამას ხელს უშლიდა ფეოდალური წარმოების იურიდიული განსაზღვრა და ის იძულებული იყო მისი ფული უსაქმოთ შეენახა. ეს ორი მაგალითი, რომელიც შეიძლება არც კი არის ტიპიური დამახასიათებელი მეთვრამეტე საუკუნის სახალხო წარმოების საფრანგეთში, ჩვენ მაინც საკმაოთ გვიხსნის იმას, თუ როგორი შებოჭვილი იყო საზოგადოებრივი ძალა და თუ როგორ ფერხდებოდა მისი უმაღლესათ განვითარება. ამ მხრივ თვალსაჩინო განსხვავებაა მაშინდელ საფრანგეთსა და გუშინდელ რუსეთს შორის, რომელიც გვიხსნის ბევრ საგულისხმო მოვლენას ამ უკანასკნელ მოძრაობის დროს. მაგრამ ამაზე სხვა დროს. ყოველ მეცნიერს, რომელიც იკვლევდა სახალხო წარმოების კანონებს, უნდა მიექცია თავისი უმთავრესი ყურადღება ამ იურიდიულ შებოჭვისაკენ და ჩვენც ვხედავთ, რომ საფრანგეთის ეკონომისტებმა, ფიზიოკრატებმა, გაილაშქრეს იურიდიულ ოპეკის წინააღმდეგ და თავის უმთავრეს პრინციპათ აღიარეს წარმოების და გაცვლა-გამოცვლის სრული თავისუფლება—ეს დედა-ბოძი ბურჟუაზიულ საზოგადოების. როგორ უყურებდენ ისინი ეკონომიურ კრიზისს? მართალია, იმათ არ ესმოდათ ეს კრიზისი ისე, როგორც ეს მოვლენა დღეს გვაქვს წარმოდგენილი, მაგრამ იმათ არ შეეძლოთ არ დაენახათ ის, რასაც ყველა ხედავდა: არევ-დარევა წარმოებაში, მოუსავლობა, შიმშილი და სხ., მაგრამ ყველა ამ ეკონომიურ მოვლენისთვის მათ მზათ ქონდათ ერთი უმთავრესი პასუხი: გაანთავისუფლეთ წარმოება მის შემბოჭველ იურიდიულ პირობებისაგან, სახელმწიფომ მისცეს მას თავისუფლება და ყოველივე არევ-დარევა მოისპობა. როგორც ხედავთ, ფიზიოკრატები წარმოების არევ-დარევას იდეოლოგიური, პოლიტიკური მიზეზებით ხსნიდენ. ისინი ამაში მართალნი იყვენ. მაშინდელი კრიზისი იყო სოციალურ-პოლიტიკური კრიზისი, როდესაც საზოგადოებრივი წარმოების განვითარება და მისი იურიდიული ორგანიზაცია ერთმანეთს ეჯახება, ერთმანეთს ეწინააღმდეგება და რევოლუციას იწვევს. ახლა დავტოვოთ საფრანგეთი და შევეხოთ იმ ქვეყნის ეკონომისტებს, რომელიც სამართლიანათ ითვლება კაპიტალისტური წარმოების ბუდეთ, ხოლო მისი ეკონომისტები—„კლასიკებათ“. ჩვენ ვამბობთ ინგლისზე. ჩვენ წინდაწინვე უნდა გავაფრთხილოთ მკითხველი, რომ არ გვაქვს სახეში შევეხოთ ყველა ეკონომისტებს და ამასთან იმ ეკონომისტების აზრი, რომელთაც ჩვენ შევეხებით, გავარჩიოთ ვრცლათ, ეს საგაზეთო წერილში შეუძლებელია. ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ მათ ძირითად აზრს ჩვენთვის საინტერესო კითხვაზე.

ბ. თოკლათელი.

(შემდეგი იქნება).

გაპონის უკანასკნელი დღეები.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, თუ რა როლს თამაშობდა გაპონი მუშებში 9 იანვრამდე. ამ ისტორიული დღის შემდეგ მისი სახელი საარაკო სისწრაფით გაიზარდა. ის ისტორიული პირი შეიქნა. ყოველივე მის ნაწერს ათი ათასობით ავრცელებდენ რუსეთში, ყოველივე მის სიტყვას გულმოდგინეთ ისმენდენ და აღტაცებით ეგებებოდენ, მაგრამ დიდი რევოლიუციონერიდან დიდ პროვოკატორამდი ძალიან მცირე მანძილი აღმოჩნდა. საზღვარ-გარეთიდან დაბრუნების შემდეგ, 1906 წ. გაპონი დაუახლოვდა პოლიციის დეპარტამენტს და მოლაპარაკება გამართა ვიტე-დურნოვოსთან ცნობილ რაჩკოვსკის საშუალებით. ამ მოლაპარაკების საგანი იყო რევოლიუციონერების მოქმედების გეგმის შეტყობა და სამხედრო ორგანიზაციის წევრთა გაცემა. ამ მიზნის განსახორციელებლათ გაპონს დამხმარე დასჭირდა. მისდა საუბედუროთ ბედმა გაპონი ისევ რუტენბერგს შეყარა, რომელიც დაახლოვებული მეგობარი იყო გაპონისა. რუტენბერგი რევოლიუციონურ წრეებში ცნობილი იყო და საპატიო ალაგიც ეკავა. გაპონმაც სწორეთ თავისი ძველი მეგობრის „გაბედნიერება“ მოინდომა და მისი მდგომარეობით სარგებლობა.

გაპონმა რუტენბერგთან ხშირათ დაიწყო სიარული და ნელ-ნელა გამოუტყდა თავის გულის წადილში, ე. ი., რომ მას პოლიციის დეპარტამენტის მოხელესთან, რაჩკოვსკისთან აქვს დაჭერილი საქმე და მისგან აქვს დავალებული ვიტე-დურნოვოს და მეფის წინააღმდეგ შეთქმულება გამოააშკარაოს და ტერორისტები გასცეს. ამ საქმის სისრულეში მოსაყვანათ საჭიროა ისეთი პირი, რომელიც ძალიან დაახლოვებული იქნება რევოლიუციონურ წრეებში და ყოველივე მათი საიდუმლოება ეცოდინება. ასეთ პირათ გაპონმა ინჟენერი რუტენბერგი იცნო და წინადადება მისცა რაჩკოვსკის გაცნობოდა პირადათ და მასთან, გაპონთან ერთათ ემოქმედა ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანათ. რევოლიუციონერების გაცემისთვის რუტენბერგს 25,000 მანეთს დაპირდა.

რუტენბერგმა, როგორც გამოცდილმა რევოლიუციონერმა, თავიდანვე შეატყო ვისთანაც ქონდა საქმე და უნდოდა თავისივე ხელით მოეკლა გაპონი, მაგრამ შემდეგ ეს გადაწყვეტილება შეცვალა. რუტენბერგი კარგათ გრძნობდა, რომ გაპონს მუშებში დიდი გავლენა ქონდა დარჩენილი. რევოლიუციონერებისაგან გაპონის მოკვლას, მისი ვინაობის გამოუმჟღავნებლათ, პირადულ ნიადაგზე აღმოცენებულ ინტრიგების შედეგათ ჩასთვლიდენ და მოსალოდნელი იყო, რევოლიუციონერების წინააღმდეგ მუშების უკმაყოფილება. ამიტომ რუტენბერგმა გადასწყვიტა საქმე სულ სხვაფრივ მოეგვარებია. მას უნდოდა თითონ მუშები გაეხადა ყოველივე იმ სისაძაგლის მოწმეთ, რასაც გაპონი ჩადიოდა და შემდეგ მოეკლა.

რუტენბერგმა თავისი აზრი ც. კომიტეტს გაუზიარა. რევ. ც. კომიტეტი რუტენბერგის წინადადებაზე დათანხმდა. აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ც. კ.-ის წევრთა შორის გაპონის მოკვლაში ყველაზე მეტათ დაინტერესებული პირი ცნობილი აზეფი ყოფილა, რუტენბერგის სიტყვით.

ყოველივე ამას რუტენბერგი, რასაკვირველია, დიდი სიფრთხილით ამზადებდა. ამავე დროს გაპონის წინადადებაზე კა-

---

ლიანისთვის ნახევარზე ნაკლები და ორ მესამედზე მეტი. ასეთ დახმარებას კასები იძლევიან ავათ გახდომის მეოთხე დღიდან, არა უმეტეს 25 კვირისა ერთბაშათ ან 30 კვირისა წლის განმავლობაში. და ვინც ერთბაშათ 26 კვირაზე მეტ ხანს იქნება ავათ, ან წლიწადში ხანგამოშვებით 30 კვირაზე მეტს იავათმყოფებს, მას დახმარება ესპობა და ისევ ოჯახის ან ქველმოქმედების ხარჯზე უნდა იქმოს... გერმანიაში ასეთების დახმარება ინვალიდობისაგან და მოხუცებულობისაგან დამზღვევ კასის ხელში გადადის. ჩვენში კი, ასეთ დაზღვევაზე ჯერ კრინტსაც არავინ სძრავს.

ასეთია ამ კასის მოვალეობები, მარა მის ასრულებაშიაც მას, როგორც რუსეთს შუშენის მრავალი აპეკუნი და ზედამხედველი ყავს. მის ანგარიშებს, საქმის წარმოებას და თანხებს რევიზიას უწევს საფაბრიკო ინსპექტორი, როგორც თავის სურვილის, ისე დამზღვევ საკრებულოს მინდობილობით. ინსპექტორი თავის რევიზიის შედეგს აცნობებს გუბერნატორს, გუბერნატორს შეაქვს მისი მოხსენება დამზღვევ საკრებულოში. გუბერნატორსვე უნდა წარედგინოს გამგეობის არჩევნების ოქმები. თუ შიგ რამე უწესოება შენიშნა, გუბერნატორი საკრებულოს მოახსენებს. ამ უკანასკნელს კი უფლება აქვს გამგეობას გუდა-ნაბადი აკრდოს და გაისტუმროს; ამავე მიზეზებით მათი გუდანაბადით შემკობა შეუძლია გუბერნატორსაც. ხოლო თუ რომელიმე წევრის მოქმედება საზოგადოებრივ მშვიდობიანობას საფრთხეს უმზადებს, გუბერნატორს უფლება აქვს და ვალათ აძევს მიაბრძანოს შორეულ გრილ ქვეყნებისაკენ დასასვენებლათ და გასაგრილებლათ. თუ ერთი არჩევნების გაუქმების შემდეგ მეორეთაც არა სასურველი გამგეობა იქნა არჩეული, საკრებულოს უფლება აქვს მეზობელ კასის გამგეობას ან და ხაზეინის დანიშნულ პირს მიანდოს საქმეების წარმოება. ხაზეინი, უეჭველია, საიმედო იქნება. ამაში პროექტს ეჭვი არ შეაქვს. არა საიმედო მხოლოდ მუშებია, რომელთაც თავისი გროშებით სარგებლობაც უნდა გაუჭირონ. მუშები ხომ კასაში მეტ ფულს იხდიან, ვინემ ხაზეინები. იქიდან მათ რაღაც გროშები ერგებათ: მეოთხედი, ან ნახევარი ჯამაგირის კვალობაზე და ამ გროშებისთვის ამდენი დავიდარაბის ატეხა, მთელი სახელმწიფო მექანიზმის შეწრიალება და ცივ ქვეყნების მიშველება—ეს მხოლოდ რუსეთის ბიუროკრატიის შემოქმედებით ნიჭს შეუძლია შექმნას; უკანასკნელათ უნდა აღვნიშნოთ, ვისგან შესდგება ეს საკრებულო, რომელიც დაზღვევის საქმეებს განაგებს და თვით გუბერნატორისგან იღებს მოხსენებებს. ეს ჩვენი ცნობილი, ყოველ საქმისა და დაწესებულებებისთვის არსებული საკრებულოებია. რუსეთში ერთათ ერთ საქმის მცოდნე ხალხათ მხოლოდ ბიუროკრატები ითვლებიან—თუ კაცს ჩინი აქვს, მან ყველაფერი იცის. მუშების დაზღვევის საერთო ხელმძღვანელობაც ამ გენიოსების ხელში გადადის. საკრებულოს შეადგენენ თავმჯდომარე გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი, საოლქო სასამართლოს „პროკურორი“, სახაზინო პალატის მმართველი, საქმიმო ინსპექტორი, 2 წარმომადგენელი საფაბრიკო ინსპექციის, საოლქო სამთო ინჟინერი და განსაკუთრებული პირი, რომელსაც ნიშნავს სავაჭრო და სამრეწველო საქმეთა მინისტრი. ამათ გარდა ამ საკრებულოში შედიან წარმომადგენლები ერობის, ქალაქის თვითმართველობის და ორ-ორი წარმომადგენელი ხაზეინებისა და „დაზღვეულ პირებისაგან“ ე. ი. მუშებისაგან. აქ მუშა დეკორაციასავით არის ჩამატებული, ნამდვილათ კი, მათ აქ მნიშვნელობა არ ექნებათ. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევაა მუშის ასეთ „მაღალ“ დაწესებულებაში შეყვანის, ალბათ, ამიტომ პროექტის ავტორებს შეეშინდათ სიტყვა მუშის ხმარების და ის „დაზღვეულ პირათ“ მოიხსენიეს. ეს საკრებულოები ამტკიცებენ კასების წესდებებს, არჩევენ საჩივრებს, გუბერნატორის მოხსენებებს და სხვ.

როგორი იქნება ამ საკრებულოს მუშაობა ეს აშკარაა. მისი უმეტესი ნაწილი ყველა სხვა ასეთ საკრებულოებშიაც აუცილებელ წევრებათ არიან ჩათვლილი და ათათ რომ გაიჭრენ, ყველგან ხშირათ სხდომების გამართვას მაინც ვერ მოახერხებენ. ამიტომ მათი კრებები თვეში ერთხელ თუ მოხდა, ისიც დიდია. სწრაფი და დაუყონებლივი საქმის წარმოება ასეთ პირობებში—ეს ოცნებაა და მეტი არაფერი.

ასეთ მოწყალებას პირდება რუსეთის ბიუროკრატია მუშებს სახ. დუმის მომდინარე სესიაში.

რ. ა.

ტეგორიულ უარს არ ამბობდა, ყოყმობდა, შიშიანობდა, გაცემული ამხანაგების შურის ძიებაზე უთითებდა გაპონს, ე. ი. თავი ისე ეჭირა გაპონთან, რომ მას იმედები ეძლეოდა საბოლოოთ რუტენბერგის გადაბირებაზე. გაპონი მას ამხნევებდა, დიდ ჯილდოს და სამსახურში აღმატებას პირდებოდა; უხსნიდა, რომ ეს მოლაპარაკება მხოლოდ მათ შორის დარჩება და არავის რუტენბერგზე ეჭვის აღება პროვოკატორობაში არ შეეძლო. ყოველივე ამით გაპონი თავის თავს ცემდა და რუტენბერგს პირდაპირ არწმუნებდა თავის საზიზღარ საქციელში.

რუტენბერგმა ამასობაში პეტერბურგის მახლობლათ ოზერკაში სახლი იქირავა, სადაც თავისი გადაწყვეტილება სისრულეში უნდა მოეყვანა.

მან წერილი გაუგზავნა გაპონს და შეუთვალა უკანასკნელათ მოსალაპარაკებლათ ამა და ამ ადგილზე მოდიო. დანიშნულ ალაგს მართლა მივიდა გაპონი. აქედან რუტენბერგმა გაპონი ეტლით ოზერკაში წაიყვანა. გზაზე თავიანთ საქმის შესახებ რუტენბერგი გაპონს ხმა მაღლა ებაასებოდა. ამას რუტენბერგი განგებ ჩადიოდა, ვინაიდან მეეტლე ერთი მუშათაგანი იყო და უნდოდა ის გაპონის ნალაპარაკევის მოწმათ გამხდარიყო. გაპონმა კი ეს არ იცოდა და გულ-ახდილათ ლაპარაკობდა საჭირ-ბოროტო თემაზე.

ბოლოს რუტენბერგისაგან დაქირავებულ ბინაზე აქ რუტენბერგს წინდაწინვე ქონდა ყველაფერი მოწყობილი. ერთ ოთახში მუშები ყავდა დამალული, მეორე მეზობელ ოთახში კი ის და გაპონი უნდა მოლაპარაკებულიყვენ. ეს გარება, რასაკვირველია, ხელს უწყობდა იმას, რომ მუშები თვითონ გამხდარიყვენ იმის მოწმეთ, რასაც გაპონი იტყოდა. ეს ასეც მოხდა. გაპონმა ყველაფერი მკაფიოთ და გარკვევით გაიმეორა, რაც მის განზრახვაში შედიოდა. გაპონის საზიზღარი გამცემლობით აღშფოთებული მუშები შეცვივდენ იმ ოთახში, სადაც გაპონი იყო და ის სიცოცხლეს გამოასალმეს.

აი როგორ აგვიწერს გაპონის სიკვდილის სურათს ერთი დამსწრე მუშათაგანი:

„როდესაც რუტენბერგმა თავისთან ბაასში საკმარისათ გამოააშკარავა გაპონის პროვოკატორობა და მეზობელ ოთახიდან ყურდ-აგდებული მუშებიც ამაში საკმარისათ დაარწმუნა,—მან მუშებს კარი გაუღო და იმ ოთახში შემოუშვა, სადაც გაპონი იყო. მუშები გაპონს მიცვივდენ. საშინელი სურათი დატრიალდა.

მუშების დანახვაზე გაპონი მუხლებზე დაეცა და ყვირილი მორთო:

— მარტინ! მარტინ! (მუშის სახლია).

— აქ შენთვის მარტინი აღარ გახლავს.

გაპონი მეორე ოთახში გაათრიეს. რუტენბერგმა ამ სურათს ველარ გაუძლო, თავზე ხელები მოიჭრა და გარეთ გავარდა.

მუშებმა გაპონი შეკრეს. წინდაწინვე განზრახული გეგმით ის უნდა დაეხვრიტათ.

გაპონი მუშებს ხელიდან გაუძვრა ყვირილით:

— ძმებო!... ჩემო ძმებო!..

— ჩვენ შენი ძმები აღარ ვართ. შენ უკვე სხვა ძმები გაგიჩენია!...

— ძმებო! გეფიცებით, რომ ყოველივე ეს იდეის გულისათვის ჩავიდინე...

— ვიცით, რა იდეების პატრონიც ხარ! ჩვენ ეს უკვე მოვისმინეთ!

მუშებმა ის ხელ-ახლა შეკრეს.

— ამხანაგებო, მაპატიეთ!... გაიხსენეთ, რამდენი რამე გადამწყდა თქვენთან ერთათ!

— სწორეთ იმიტომა ხარ სიკვდილის ღირსი, მიუგო ერთმა მუშათაგანმა.

— შენ პოლიციას მიყიდე ჩვენი სისხლი! ამიტომ შენც მოკვდები!

მუშებმა გაპონს კისერზე ბაწარი ჩამოაცვეს და კედელთან მიათრიეს, რომელზედაც რკინის კაკვი იყო მიჭედილი.

გაპონი სულ-შეხუთული, ჩამხრჩვალი ხმით ყვიროდა:

ძმებო!... ჩემო ძვირფასო ძმებო... ცოტა მაცალეთ!... ერთი სიტყვის თქმა მაცალეთ!..

— ჩამოკიდეთ!—დაიძახა ერთმა მუშამ, რომელიც 9 იანვარს გაპონს უდგა გვერდში. მეორე მუშა სიბრალულმა შეიპყრო და ამხანაგებს მიმართა:

— მიეცით ნება სთქვას, რაც უნდა... შეიძლება ეს საჭირო რამე იყოს...

— ძმებო!—იმუდარებოდა გაპონი რაკი იგრძნო, რომ თოკი ცოტა მოუშვეს.

— ჩემო ძმებო!... მაპატიეთ!... ჩემო ძვირფასო, საყვარელო ძმებო, წარსულის გულისთვის შემინდეთ, ნუ მომკლავთ...

მუშების ერთი ხელის გაქნევა და გაპონის სხეული უკვე ჰაერში იყო უპატრონოთ გამოკიდული. რამოდენიმე წუთის შემდეგ ის უკვე მკვდარი იყო.

დაღვრემილი, გაფითრებული მუშები ერთი-მეორეზე გამოდიოდენ საშინელი სახლიდან. ეზოში მათ რუტენბერგი უცდიდა. მთელი მისი სხეული ციებიანივით კანკალებდა. მან აკანკალებული ხმით იკითხა:

— გაათავეთ?

სამარისებური დუმილი იყო პასუხათ...

პროვინცია

დ. ხაშური. შიმშილობა აუცილებელია—აი რა აკერია ყველას პირზე. ამის მიზეზები, რასაკვირველია, როგორც წელს, აგრეთვე წარსულ წლებშიც ერთი და იგივე იყო. ერთის მხრით ის, რომ მიწები გამოშრალ-გამოფიტულია და ადრინდელ ნაყოფს აღარ იძლევა, მეორე მხრივ მუდმივი გვალვები და მესამე უმთავრესათ მიწების სივიწროვე.

მაგალითათ ხაშურში არის ადგილობრივი 154 კომლი მცხოვრები, რომლებიც საკუთრების მხრივ ასე დანაწილდებიან: 2 კომლს აქვს დაახლოვებით 160 დღიური (დღიური ქცევანახევარს უდრის) თვითეულს, 2-ს 25 დღ., 1-ს 15 დღ., 1-ს 11 დღ., 3-ს 8 დღ., 5 ს 6 დღ., 3-ს 5 დღ., 6-ს 3 ნახ. დღ., 9-ს 2 ნახ. დღ., 13-ს 2 დღ. (აქედან 5 მოსახლე მონადელეა), 60-ს 1 ნახ. დღ., 55-ს 1 დღ. (აქედან 4 მოსახ. მონადილეა), 9-ს ნახევარ დღ. (აქედან 4 მოსახ. მონადელეა), 62-ს მხოლოდ სახლის ასაშენებელი და 3-ს კი არც ეს აქვს; ნაქირავებ სახლებში ცხოვრობენ და ისე მუშაობენ სხვის მიწებს.

ამგვარათ, გლეხების დიდი უმრავლესობა მოკლებულია საკუთარ მიწებს. ასევე ითქმის, საზოგადოთ, სხვა სოფლებზედაც დასავლეთ ქართლში. გარდა ამისა, უკანასკნელთა უმრავლესობას არა ყავთ არც ხარ-კამეჩი, რომ შეეძლოთ სხვისი მიწების დამუშავება. ამიტომ, მათ ჯერ მიწები უნდა იშოვნონ დადით, რომელიმე მემამულისაგან, რაც ზოგჯერ მიუწდომელი ხილია და შემდეგ, როდესაც სხვები გაათავებენ ხვნა-თესვას, ხარ-კამეჩები იქირაონ და ასე წვალებით დაიმუშაონ 1—3 დღის მიწა.

ამნაირათ, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საშუალო ხარისხის მიწა, 1 დღიური 3—4 კოდ ჭირნახულის მეტს არ იძლევა და აგრეთვე თუ გამოვკლებთ აქედან მემამულის დალს (1 დღ. 2 კოდი) მთელი წლის ნამუშევრიდან გლეხს დარჩება მხოლოდ 4—5 კოდი ჭირნახული და ზოგჯერ კი დალსაც ძლივს აუთავდება.

ასეთი შევიწროვებულნი არიან საზოგადოთ დასავლეთ ქართლის ყველა სოფლის მცხოვრებლები და ამის შემდეგ რაღა გასაკვირველია თუ შიმშილობა აქ მუდმივ მოვლენათაა გადაქცეული.

— ამ უკანასკნელ ხანებში აქ ძალიან გაძლიერეს მთავრობის რეპრესიები. საღამოს 6 საათიდან ყველა უბნებში პატრულები დადიან. გარდა ამისა დაარსეს აგრეთვე „მფრინავი რაზმი“. ჩხრეკა და დაპატიმრება ხშირია.

მუშა ხ—ლი.

ს. წყალტუბო. წრევანდელმა გვალვიანმა ზაფხულმა პირ-წმინდათ ხელცარიელი დასტოვა აქაური გლეხობა. ერთათ-ერთი ცხოვრების საღსარი—სიმინდები ახმა. შიმშილობა აუცილებელია. გაძვალტყავებული გლეხობა იძულებულია მთელი წლის განმავლობაში იყიდოს სიმინდი. ასეთ კრიზისის დროს ხალხი მაინც უარს არ ამბობს ისეთ უსარგებლო ჩვეულებაზე, როგორც ტირილი და ქელეხებია. მოკვდება ვინმე, გლეხი უკანასკნელ პერანგს ყიდის, ტირილს მართავს და აუარებელ ხალხს პატიჟობს. აქ დღესასწაულობენ 8 ენკენისთვეს. ამ დღეს ისეთ სახლს ვერ ნახავთ, რომ ჭყარი-ალალოს ხმა არ ისმოდეს. მიუხედავათ წრევანდელი მდგომარეობისა, აუარებელი სტუმრები მოაწყდა ჩვენ სოფელს გაიმართა ქეიფი, ხოლო ქეიფის შემდეგ ხანჯლების ტრიალი.

არკადი მორჩაძე.

ბორჯომის ხეობა. ამ ხეობაში თითქმის ორმოცამდე სოფელი არის. ეს სოფლები შეადგენენ სულ ერთ სასოფლო საზოგადოებას—ბორჯომისას, რომელიც ძევს დიდი მთავრის მამულზე. თითეულ აქაურ სოფელს მიზომილი აქვს საერთო მიწა და მერე ამ საერთო მიწას გლეხები ერთიერთ შორის ინაწილებენ. მოძრაობის დაწყებამდი აქაურ გლეხობას, როგორც მიწაზე ისე ტყეზედაც, დიდ ბაჟს ახდევინებდენ, ახლა კი თვითეული გლეხი ორ დღიურ სახნავ მიწაზე იხდის ორ მანეთს, მხოლოდ, ტყიდან სახლის მასალა, და შეშა-ფიჩხი უფასოთ გამოაქვს. გასაყიდ ხეზე კი ბაჟს ახდევინებენ. ამიტომაც არის, რომ აქ იშვიათათ მოიპოვება ისეთი გლეხი, რომელსაც ერთი ორ სართულიანი ხის სახლი არ ედგას და ზოგ გლეხს ორიც. მიუხედავათ ყველა ამისა, სიღატაკე და გაჭირვება აქაც ისეთივეა, როგორც სხვაგან. ცხოვრების უმთავრესი საღსარი—პური და სიმინდი ძალიან ნაკლებათ მოდის და გლეხობის უმრავლესობა იძულებულია მთელ წელიწადს იყიდოს პური და სიმინდი. ღვინო აქ სრულებით არ არის, რადგანაც ვაზი არ ხარობს; არის ზოგან ხილის ბაღები. უნუგეშო მდგომარეობაშია აქ სწავლა-განათლების საქმეც: მთელ საზოგადოებაში, რომელიც ორი ათას კომლისაგან შესდგება, გარდა სოფელ მგვიბისისა, არც ერთ სოფელში არ არსებობს პირველდაწყებითი სკოლა. აქ ძალიან ძნელათ შეხვდებით ისეთ გლეხს, რომელმაც წერა-კითხვა იცოდეს.

გომელი.

სოფელი ჭრებალო (რაჭა-ლეჩხუმი). მოსავალი წელს აქეთ ძალიან ნაკლებათ იყო. ასე რომ, ოთხი თვის სარჩო ძლივს მოიწიეს. ხალხი საგონებელში ჩავარდა, აღარ იციან რით გამოკვებონ ცოლ-შვილი. აქ არსებობს აფთიაქი, არის რამდენიმე დუქანი, იმართება ქეიფი, კარტის თამაში და ყველაფერი სიკეთე. აფთიაქის მოსამსახურენი უმეტეს დროს საკურდღლოთ დადიან. არსდება ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, რისთვისაც ბინა უკვე იშოვეს. ბ-ნ ნაცოპის წერილის გამო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების შესახებ მივმართე ხალხს და უმრავლესობა სიხარულით შეეგება ამ საქმეს. წევრებიც ჩაეწერენ. იმედია რაჭა-ლეჩხუმის შეგნებული ნაწილი უყურადღებოთ არ დასტოვებს ამ საშვილიშვილო საქმეს.

ქუთათელი.

მუშათა შორის

თფ. საქ. სადგურის არტელის ცხოვრებიდან. აირია „მონასტერიო“ რომ იტყვიან, აქაურ არტელზეა გამოჭრილი. რამდენიმე წლის წინათ აქაური მუშები აუტანელ პირობებში იყვნენ: მათთვის არ არსებობდა განსაზღვრული სამუშაო დრო, ხელფასი, „ოტპუსკი“: მიღება-დათხოვა ექიმობა და სხვა. საერთო მოძრაობის დროს მოიპოვეს 8 საათის სამუშაო დრო, „ოტპუსკი“ ერთი თვით ჯამაგირით (35 მ.) ექიმობა და სხვა. მაგრამ დრონი იცვალენ, აღმოჩნდენ არასასურველი ელემენტები, რომლებიც ეწევიან ინტრიგიანობას, რომ ამით საშუალება მიეცეთ მოიშორონ ზოგიერთი მოწინავე მუშები. დღეს არტელში დიდი არევ-დარევაა. ერთი-მხარის ქიშპობამ და სხვა არა-მუშურმა მოქმედებამ ერთი ხელის დაკვრით გააქრო ბრძოლით მოპოვებული უფლებები. დროა მოწინავე მუშებმა მიაქციონ ყურადღება ამ გარემოებას. არც დღიურების მდგომარეობა შეცვლილა. დიდ აუტანელ პირობებში გვიხდება ცხოვრება. ორი-სამი წელიწადი ვეცდით „გაშტატნებას“, თუმცა თავისუფალი ადგილებია, მაგრამ არ დაგვიშვეს. ახლა გადაწყვიტეს თითო დღიურზე, ოცი დღე მუშაობა (დღიურები ვართ 17 კაცი), მაგრამ რადაც მოსაზრებით სისრულეში არ მოყავთ და ამით საქმეს ამწვავებენ. დღემდის დღიურებში მტკიცე კავშირი იყო, მაგრამ აქაც გამოურია ერთი-ორი პირი, რომლებიც ეწევიან არა-საკადრის ხელობას და ამით საქმეს ამწვავებენ.

„ალიოშა“.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რ.! გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი პატივცემული გაზეთ „მომავლის“ საშუალებით პასუხი გავცე „მათრახ-სალამურის“ კორესპონდენტს. „მათრახ-სალამურის“ მეცამეტე ნომერში მოთავსებულია დ. სამტრედიიდან „იაქეს“ წერილი და რასაკვირველია, უნდა ვიგულისხმოთ, მისი პასუხისმგებლობით. ავტორი დაუზოგველათ ძალა ნიჭისა შეეცადა ჩვენის და ჩვენი საექიმო კაბინეტის სახელის დამცირებას—ჩვენ გაშავებას ადგილობრივ საზოგადოების თვალში. ბ. „იაქემ“ თავისი ოხუნჯური ეშხით გასალამაზებლათ ისიც კი ჩაიდინა, რომ უტიფრად დაგვიმეგობრა ისეთი პირები, რომლების წინააღმდეგ ჩვენ კარგა ხანია ომი გამოგვიცხადებია, როგორც ეს ადგილობრივ შეგნებულ ელემენტებმა უწყიან. ჩვენთვის აშკარაა მოტივები ამ ტენდენციოზური პასკვილისა, მაგრამ, რომ „მათრახ-სალამურის“ რედაქცია და მასთან, მკითხველი საზოგადოება შეცდომაში არ შევიყვანოთ, საჭიროთ მიმაჩნია გამოუძახოთ ბ. იაქეს სამედიატორო სამართალში. დაე „იაქმე“ დაგვიმტკიცოს და განგვიმარტოს რა ხდება ჩვენს კაბინეტში ისეთი, რომ ის ასეთი, დაცინვით გვიხსენიებს. ჩემის მხრით მედიატორებათ ვასახელებ ბ.ბ. დუნდუას და გ. ურუშაძეს, რომელთაც ევალება ჩვენგან ყოველივე ნარკვევი—განაჩენი ვრცლათ აღნუსხონ ადგილობრივ პრესაში. ვადას ვაძლევ ერთ კვირას.

ექიმი ილია ეგნ. ჯაში.

სამედიატორო სასამართლოს განაჩენი.

„1909 წლის 9—10 აგვისტოს დ. ყვირილაში შემდგარმა სამედიატორო სასამართლომ განიხილა რა ქ. თ. ჭეიშვილისა და ნ. გარდავაძის შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

1) მოსწავლე ქალთა მიერ სუსტი ცოდნის გამოჩენა, თ. ჭეიშვილის მასწავლებლობის დროს განვლილი მასალიდან, დამტკიცდა, როგორც მოწმეების ჩვენებით, ისე წერილობითი საბუთებით, რაიცა უნდა აიხსნას თ. ჭეიშვილის საქმისადმი დაუდევრობით და რამოდენიმეთ მისი გამოუცდელობითაც, თუმცა, როგორც თვით ბრალმდებლის და აგრეთვე მოწმეების ჩვენებიდანა სჩანს, თ. ჭეიშვილი რომ ბეჯითათ მოკიდებოდა საქმეს, კარგს ნაყოფს მოიტანდა.

2) ბრალდება, ვითომც ნ. გარდავაძეს ავათმყოფობის დროს, თ. ჭეიშვილი ამხედრებდა მოსწავლეებს გარდავაძის წინააღმდეგ, არ მტკიცდება. სკოლიდან წასვლის შემდეგ თ. ჭეიშვილს მართალიც მოუნდომებია მოსწავლეების წაქეზება გარდავაძის წინააღმდეგ, როგორც ამას ამტკიცებს თვით თამარა ჭეიშვილის მიერ არა საკადრისი შინაარსის მოსწავლეთადმი მიწერილი ბარათი, რომლითაც ქ. ნ. გარდავაძის პიროვნება ძლიერ შებღალულია; ამ გვარი საქციელი არ შეიძლება ჩაითვალოს კეთილშობილურ საქციელათ, რასაც არც თვით ქ. ჭეიშვილი ყოფს უარს და ხსნის მას (ასეთს საქციელს) შედეგათ მისი აღელვებისა; თვით სასამართლოს აზრით ასეთი საქციელი ჭეიშვილის მხრივ შეეძლო გამოეწვია მოწინააღმდეგე მხარეთა შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას.

3) როგორც ყოფილ სასამართლოს ოქმიდან სჩანს, გარდავაძეს მიუცია ფული ჭეიშვილისთვის ნებაყოფლობით და არა სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ეს რეზოლიუცია შეიძლება პრესის კუთვნილებათ გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ რომელიმე მხარე გაავრცელებს ცრუ ხმებს მისი შინაარსის შესახებ და, დაინტერესებულ მხარეს ექნება კანონიერი საფუძველი მისი გამოქვეყნებისთვის“. *)

---

*) რედაქციამ მიიღო თავმჯდომარის და მედიატორეთაგან წერილი, რომელიც რეზოლიუციის გამოცხადების ნებას აძლევს ნ. გარდავაძეს·

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარეთ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში თფილისისა.

თფილისიდან გადის

ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

ბაქოსაკენ: 1) სამგზავრო № 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

ბორჯომამდე: 1) სამგზავრო № 7|8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო № 910, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

ჯულფამდე: საფოსტო № 74|75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.).

ერევნამდე: სამგზავრო და საქონლ. № 78|79, ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

მცხეთამდე: მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა უქმეებში 1) საგარაკო № 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო № 77a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

თფილისში მოდის

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2, დილის 3 ს. 38 ს. (9 ს. 36 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

ბაქოდან: 1) სამგზავრო № 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 7 საათ. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

ბორჯომიდან: 1) სამგზავრო № 7|8, დილის 6 ს. 46 წ. 7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო № 9|10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

ჯულფიდან: საფოსტო № 72|73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

ერევნიდან: სამგზავრო და საქ., ნაშუადღევს 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

მცხეთიდან: მხოლოდ კვირა-უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის საგარაკო № 76, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2. ს. 28 წ.) საგარაკო № 6, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ..)

განცხადებანი

იყიდება ყველგან ახალი

ჩანგი

წიგნი 502 გვ. ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმრო და საოხუნჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა, **„ადვოკატთან“**, **„ტაინი სოვეტნიკის სიზმარი“** და **„უბედური დღე„**. **წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მან.35 კ. უყდო 1 მ.** ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ „Сорапанъ“, Гачечиладзе.

გამოცდილი მასწავლებლები

(მონაწილეობას ღებულობენ მასწავ. ქალებიც, მცოდნე ზედმიწევნით უცხო ენებისა).

ამზადებენ **ქალ-ვაჟთ**, ყველა **დაბალ** და **საშუალო** სასწავლებლებისათვის: **სამოქალაქო** სასწ., **სასულიერო**, **საფერშლო**, **ტეხნიკის**, **რეალურ**, **საქალებო** და **სავაჟო გიმნაზიის**, **სამასწავლებლო სემინარიისთვის**. ამზადებენ **სოფლის ერთ და ორ კლასიან მასწავლ.**, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, **ყველა ხარისხ-ჩინზე**.

აგრეთვე ღებულობენ მოსწავლე ვაჟებს და ქალებს, რომლებმაც **ანბანი** სრულებით არ იციან.

მსურველთ იყვანენ მთელ ხარჯზედაც.

თვიურათ ფასი 5 მ.—20 მ.-დე, იყვანენ **პირობითაც**.

ამ ეზოშივე გამოცდილი **მკერავი** ქალი ღებულობს და კერავს **ზაკაზებს ხელმისაწვდომ ფასებში**, **იყვანს მოსწავლე ქალებს.**

ადრესი: ავჭალის ქუჩა, სახლი № 133, ბინა 26, (ვოგზლის პირდაპირ—ნახალოვკაში).

მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე, თავდება საღამოს 9 საათზე. (24—14)

ექიმმა

არდაზიანმა

განაახლა ავათმყოფების მიღება. დროებით მე-2 თუმანოვის ქუჩა № 27. დილის 8—9 ნახ. საათ. და საღამოს 4—9 საათამდის. (0—თ—12)

კბილის ექიმ

ს. ნ. მატროსოვიჩ-სანოვიჩი.

დაპლომბის გაკეთება, ამოღება, ექიმობა და ხელოვნური კბილების ჩაყენება „პლასტინკით“ და „უპლასტინკოთ“ სამკურნალოების ფასებში. მიღება ყოველდღე დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 ს. ვერის დაღმართი № 21 50—22

მკერავი ქალი

ვიღებ მოსწავლეებს განურჩევლათ ხნოვანებისა, ვასწავლი ჭრასა და ხატვას სამი თვის განმავლობაში.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია.

დუშეთის ქუჩა, № 7.